ბიულეტენი

აჭარაზეობის სულიერებისა და კულტურის ცენტრის
საინფორმაციო ორგანო

№2 (85) იანვარი-მარტი 2018 წელი

ღირსი დოსითეოზ ჭეთათელი

დედამიწას სიყვარული ატრიალებს

პრეზენტაცია სანოტო კრებულისა „15 აფხაზური სიმღერა“



ფარა-ხმალი მამა-ჰაჰისა

ეს იყო 2018 წლის პირველი ღონისძიება -
პრეზენტაცია სანოტო კრებულისა და დისკისა
„15 აფხაზური სიმღერა“ - მიეძღვნა სვეტლანა ქეცბას ხსოვნას.
გამოხმაურება ვთხოვეთ მუსიკოლოგ თამარ წულუკიძესა და თეატრმცოდნე ვაჟა ძიგუას

განუყოფელი საქართველოს სიმბოლო

მახსენდება ადრეული ბავშვობა - მოსკოვი, კომპოზიტორთა ყრილობა, როდესაც თბილისიდან ოჯახებით ჩასული ყრილობის დელეგატები დაბინავებული იყვნენ სასტუმრო „როსიაში“... ლიფტში შემოდის ორი ქალბატონი, მამაჩემი - მუსიკისმცოდნე ანტონ წულუკიძე ორივეს დიდი პატივისცემით ესალმება, ესენი აღმოჩნდნენ მუსიკისმცოდნეები - ერევნიდან მარგარიტა არუთუნიანი და სოხუმიდან - სვეტლანა ქეცბა.

სვეტლანა ქეცბას გვარ-სახელი მანამდეც ხშირად მესმოდა მამასგან, ის მას ახსენებდა, როგორც ძალიან საპატიო, ღირსეულ ადამიანს, როგორც სოხუმის ინტელიგენციის წარმომადგენელს და, აგრეთვე, როგორც მუსიკისმცოდნე-კოლეგას. აქედან გამომდინარე, ჩემთვის სვეტლანა ქეცბა იყო ავტორიტეტული პიროვნება, რომელიც, თავისი ღირსებებიდან გამომდინარე, გულისხმობდა გარკვეული დისტანციის დაცვასაც...

გავიდა წლები... ჩვენს ოჯახებს შემოუერთდა, უკვე დევნილის სტატუსით, მამაჩემის დეიდაშვილი, სოხუმის თეატრის წამყვანი მსახიობი, სილამაზითა და ნიჭიერებით, ამავე დროს, ექსცენტრულობით ცნობილი ქალბატონი, თინა ბოლქვაძე, რომელმაც თავისი მიკროსამყარო შემოიტანა ჩვენთან. მისი მეგობრებიც, ამიერიდან, შეიძლება ითქვას, ჩვენი ოჯახის ახლობლებლადაც მოიაზრებოდნენ. ახლა გაცილებით უფრო ხშირად მესმოდა სვეტლანა ქეცბას გვარ-სახელი, უკვე ტელეფონითაც კი მომიწია მასთან საუბარი და ამჯერად ეს ქალბატონი სხვა რაკურსით დავინახე, როგორც გარშემომყოფთა იმედი, გაჭირვების ტალკვესი, ადამიანური განცდებით აღსავსე, ფაქიზი გრძნობებით, ტკივილით, იუმორითაც კი... ქალბატონ სვეტლანასთან უშუალო ურთიერთობა კი მომიწია საქართველოს კულტურის სამინისტროში, მაშინ ჩვენ გვერდით ოთახებში განთავსებული იყო აფხაზეთის კულტურის სამინისტრო ქალბატონ სვეტლანა ქეცბას ხელმძღვანელობით. მახსენდება ასეთი ეპიზოდი: სულ ახალი დაწყებული მაქვს მუშაობა და მიბარებს კულტურის მინისტრის მოადგილე. შევდივარ მისაღებში, მეუბნებიან, რომ მოუხსენებლად კულტურის მინისტრის მოადგილესთან შესვლა არ შეიძლება, თუგინდ თავად გიბარებდესო. მდივანმა გაარკვია - აღმოჩნდა, რომ ჯერ არა... ვზიავარ მისაღებში, ამასობაში მოდიან სხვა თანამშრომლები, ერთი, მეორე, მესამე, მეოთხე... მათ რთავენ შესვლის უფლებას, მე მორჩილად ველოდები „აღთქმულ წუთებს“... მისაღებში მყოფ თანამშრომლებთან გაკვირვებას გამოვთქვამ არსებული სიტუაციის გამო, ისინი ინერტულობას ამჟღავნებენ, არც ვიცი, ეს ჩვეულებრივ ამბად მიაჩნიათ, თუ თავს არ აძლევენ რეაქციის უფლებას. ამ დროს შემოდის ქალბატონი სვეტლანა, ახლა მას შევჩივი ჩემს მდგომარეობას, ქალბატონი სვეტლანა თავს აქნევს და სახეზე მრავლისმთქმელი ღიმილი აღებეჭდება. ვხვდები, თუ რა სასაცილოა მისთვის ეს ყველაფერი... მან ხომ კარგად იცოდა სამინისტროს ძველი თანამშრომლებისაგან და თავადაც: რომ იყო დრო და იყო სამინისტრო, სადაც სუფევდა შემოქმედებითი ატმოსფერო, და თანამშრომლებისთვის, რომელთაგანაც დიდი ნაწილი მნიშვნელოვანი პიროვნებები იყვნენ, დამუხტული იდეებით, არც რეგიონებიდან ჩამოსული კულტურის მუშაკებისთვის, არანაირი ბარიერი არ არსებობდა.

დღეს რომ ვაანალიზებ მოვლენებს, თვალწინ მიდგება გვერდით ოთახებში აფხაზეთის კულტურის სამინისტროს ცხოვრება... ატმოსფერო საქმიანი, მიზანდასახული ღონისძიებები, თანამშრომელთა იდეებს, ინიციატივებს მხოლოდ მხარდაჭერა, მინისტრის მხრიდან არანაირი ბარიერი, მაგრამ საოცარი კრძალვა, რიდი და სიყვარული მისი ხელმძღვანელისადმი და ეს პიროვნება გახლდათ სვეტლანა ქეცბა.

ქალბატონ სვეტლანასთან უშუალო, საქმიანი ურთიერთობა დამიმყარდა მას შემდეგ, რაც შეიქმნა აწ უკვე ბევრისთვის თავისი საქმიანობით კარგად ცნობილი აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი, რომელმაც უდიდესი მისია იკისრა და იქცა აფხაზეთიდან დევნილების თავშეყრის ადგილად და ოაზისად არა მხოლოდ მათთვის. .. ბევრი თბილისელისთვისაც. ..

მე მერგო პატივი მასთან საქმიანი ურთიერთობისა. ვფიქრობ, მნიშვნელოვანი იყო ერთობლივი ღონისძებები ზაქარია ფალიაშილის მემორიალურ სახლ-მუზეუმთან (როგორიც იყო, მაგალითად, „დღეასასწაულთა დღესასწაული“ - მიძღვნილი „აბესალომ და ეთერის“ პრემიერის 90 წლისთავისადმი, „სამუზეუმო ექსპონატი - ვალტორნა და აფხაზეთის მუსიკალური სასწავლებელი“ და სხვ.). ინდივიდუალურადაც მომიწია მათ ღონისძიებებში მონაწილეობა, რისი გახსენებაც მადლიერებისა და სიამაყის გრძნობით მავსებს...

ქალბატონი სვეტლანას სიცოცხლის მანძილზე ყოველთვის იგრძნობოდა მისადმი რიდი და პატივისცემა, მაგრამ, ვფიქრობ, მისი გარდაცვალებისას ყველამ კიდევ სხვანაირად, მასშტაბურად აღიქვა მისი პიროვნება... მას ამ დღეებში მართებულად უწოდეს აფხაზური და ქართული ერთობის, განუყოფლობის სიმბოლო. მართლაც, მისი არსებობა, მისი ცხოვრების თვალის გადავლება გვარწმუნებს მათ განუყოფლობაში და, როგორც ასევე ითქვა, რწმენითა და იმედითაც გვავსებს.

ვიხსენებ და ვფიქრობ ამ ყველაფერზე და ამაყი ვარ იმით, რომ ვიყავი მისი თანამედროვე, მეტიც - შესაძლებლობა მომეცა ურთიერთობაც მქონოდა ისეთ დიდ პიროვნებასთან, როგორიც გახლდათ ქალბატონი სვეტლანა ქეცბა.

***

მინდა არა მხოლოდ გავიზიარო თამარ წულუკიძის მინი-მონოლოგის სულისკვეთება, არამედ განვაგრძო თხრობა და ჩემი ხედვაც ჩავრთო ქალბატონ სვეტლანას არაორდინალური პიროვნებისა და მოღვაწის, დღეს უკვე ისტორიის კუთვნილებად ქცეულ ინტერიერში.

დევნილობის პირველი წლები... აფხაზეთის კულტურის სამინისტროს აპარატი საქართველოს კულტურის სამინისტროს შენობაში განთავსდა. ქალბატონ სვეტლანას ჯერ კიდევ სოხუმის პერიოდიდან ვიცნობდი - რა დამავიწყებს იმ დღეებს, როდესაც აფხაზური და ქართული თეატრების ახალი სპექტაკლების მისაღებად ჩავდიოდით და თეატრის მესვეურებთან ერთად, კეთილი მასპინძლის სხივმფენი ღიმილით, ქალბატონი მინისტრი გვერდიდან არ გვშორდებოდა.

თბილისში იძულებით გადმოხვეწილი სამინისტროს თანამშრომლები და მათი ლიდერი სვეტლანა ქეცბა საოცარი ენთუზიაზმით აგრძელებდნენ მუშაობას, თითქოს არაფერი მომხდარაო, ვინაიდან ჰქონდათ ურყევი რწმენა, რომ აუცილებლად დაუბრუნდებოდნენ მშობლიურ მხარეს. ჩემს ბიოგრაფიაში განსაკუთრებული ნიშნითაა შესული ქალბატონ სვეტლანას ოფიციალური შემოთავაზება, ერთობლივად გვემუშავა აფხაზური თეატრის პრობლემებზე. მასთან სამსახურებრივი ურთიერთობის რამდენიმე წელმა გაამდიდრა ჩემი თვალსაწიერი. შემდეგ, როდესაც აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრს ჩაუდგა სათავეში, ჩვენი შემოქმედებითი თანამშრომლობა არ შეწყვეტილა.

აღარ გავიმეორებ ამ დღეებში მრავალჯერ ნათქვამს, რომ ქალბატონი სვეტლანა სრულიად გამორჩეული პერსონა იყო და არის ქართულ-აფხაზური თანამედროვე ისტორიის მეტად რთულ, მღელვარე ეპოქაში. ამის ნათელი დასტური გახლდათ აფხაზეთის განათლებისა- და კულტურის სამინისტროს სააქტო დარბაზში გამართული საღამო, სადაც კიდევ ერთხელ დავრწმუნდით ამ დიდებული ქალბატონის ფასდაუდებელი მოღვაწეობის მასშტაბებსა და მნიშვნელობაში. დარბაზში მსხდომი ადამიანები, რომლებიც კიდევ ერთხელ (ამჯერად, სამწუხაროდ, მისი ამქვეყნური სიცოცხლის დასრულების შემდეგ) მიაგებდნენ პატივს განუყოფელი საქართველოს - არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი - ერთ-ერთ თვალმარგალიტს, უმშვენიერეს და უფაქიზეს სვეტლანა ქეცბას, რომლის ბოლო ამოსუნთქვა მშობლიურ აფხაზეთში დაბრუნება იყო. იმ სევდიან და ამაღლებულ საღამოს ერი და ბერი ერთსულ და ერთხორც გაერთიანდა. საჩხერისა და ჭიათურის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი). დეკანოზი ბიძინა გუნია, აფხაზეთის მთავრობის პირველი პირები: ვახტანგ ყოლბაია და გია გვაზავა, მსოფლიო მრავალგზის ჩემპიონი, სასიქადულო ფალავანი რომან რურუა, მუსიკალური საზოგადოების თავმჯდომარე მანანა ახმეტელი, მუსიკოლოგიის დოქტორი ნინო კალანდაძე-მახარაძე, პოეტი მზია ხეთაგური, აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „აფხაზეთის“ სამხატვრო ხელმძღვანელი ღევან ღვინჯილია - სინანულითა და, იმავდროულად, სიამაყის განცდით მოგვითხრობდნენ აფხაზეთისა და საქართველოს კოლორიტის სვეტლანა ქეცბას იმ გმირულ სულისკვეთებასა და განუმეორებელ საქმიანობაზე, რომლის კვალი არასდროს წაიშლება და მეგზურად გაჰყვება მომავალ თაობებს.

შეკრების მიზეზი კი იყო ის, რ ომ ქალბატონმა სვეტლანა ქეცბამ ფასდაუდებელი საჩუქარი დაგვიტოვა. მისი გარდაცვალების შემდეგ, სულიერებისა და კულტურის ცენტრმა დაასრულა მუშაობა მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დასტამბულ სანოტო კრებულზე აუდიოდანართით - „15 აფხაზური სიმღერა“. სანოტო და აუდიომასალის

(დასაწყისი მე-3 გვ.)

ერთად არსებობა მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ტრადიციული მუსიკის მკვლევარებს, შემსრულებლებსა და მოყვარულებს. ვფიქრობთ, საქართველოს ამ ძირძველი კუთხის მხატვრულ-სახეობრივი თავისებურებისა და მუსიკალური კანონზომიერებების წარმოჩენას დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, " -სვეტლანა ქეცბასეული ასეთი განმარტება უძღვის ამ კრებულს.

საღამოს მიმდინარეობა დაამშვენა კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე გიორგი შავერზაშვილის ორმა საფორტეპიანო პიესამ: „აფხიარცაზე დაკრული მელოდია“ და „სახუმარო“, აფხაზური ხალხური სიმღერის თემაზე, რომელიც თავად ავტორმა სათანადო განწყობილებით ააჟღერა.

როგორც ყოველთვის, საღამოს კულმინაცია დგაისმა აფხაზური საზეიმო-საქორწილო სიმღერა „ბზია-ალა“ და რაჟდენ გუნბას „სატრფიალო“ ლევან ღვინჯილიას ხელმძღვანელობით არსებულ ანსამბლ „აფხაზეთის“ შესრულებით.

საღამოს განსაკუთრებული ელფერი შესძინა ჩვენგან ახლახან წასული ძვირფასი ადამიანების: ზურაბ სოტკილავას, დიმიტრი ჯაიანის, ჯუმბერ ყოლბაიასა და თვით ქალბატონ სვეტლანა ქეცბას მონაწილეობით წარმოდგენილმა ვიდეო-გახსენებამ. ისინი დღეს მხოლოდ ფიზიკურად არ გვიმშვენებენ გვერდს, მაგრამ მათი არსებობა ერის სულიერ ცხოვრებაში მარადიულია!

„... პოეზია, უპირველეს ყოვლისა!“

„პოეზიის სხივით გამთბარი“, ელდინო საღარაძის მინი-სპექტაკლი „ფარ-ხმალო მამა-პაპისა“

9 თებერვალს, მზიან დღეს, ძველი პლეხანოვის ერთ-ერთი გამორჩეული კოლორიტული უბნის „არტოს ბაღის“ მიმდებარე ტერიტორიიდან, თბილისის ზღვის მიმართულებით დილიდანვე გაემართა ნორჩი მკითხველებით და მათი მშობლებით დატვირთული მიკროავტობუსი. დღეს აქ, პროფკავშირების ყოფილი სასწავლო ცენტრის შენობაში განთავსებულია აფხაზეთის ვოვა ვეკუას სახელობის N3 საჯარო სკოლა. სწორედ ამ სკოლის მოსწავლეებთან შესახვედრად გაემგზავრნენ „არტოს ბაღის“ მხატვრული კითხვის წრის უკვე „ტიტულოვანი“ წევრები, რომელთაგან რამდენიმემ გაიმარჯვა ამას წინათ აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის მიერ ორგანიზებულ, შოთა რუსთაველის 850 წლისთავისადმი მიძღვნილ კონკურსში - „ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანს“. მათ დახელოვნებას ხელმძღვანელობს საქართველოში ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა!) მხატვრული კითხვის ოსტატი ელდინო საღარაძე.

ნახევრად გარემონტებული, სიცივისაგან გათოშილი კედლები პირქუშად მოგვეჩვენა, თუმცა, სააქტო დარბაზში შესვლისთანავე, რომელიც სცენის ფუნქციასაც იტვირთავს, დადებითმა მუხტმა იმძლავრა. სცენის სიღრმეში, შუაგულ ადგილას, თეთრ ქარალდზე წითელი საღებავებით შესრულებულმა გულღია წარწერამ - „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“ - მკვეთრად შეცვალა ჩვენი განწყობილება.

ქალბატონი ელდინო დროს არ კარგავს: აბა, მოემზადეთ და დავიწყოთ, - მიმართავს იგი თავის შეგირდებს, რომლებმაც უკვე იციან, რომ ახალ გარემოს ათვისება სჭირდება, აკუსტიკას მორგება, მიზანსცენებს დაზუსტება; ეს ხომ ანა-ბანაა: ნებისმიერ სხვა მოედანზე გამოსვლა ცვლილებებს ექვემდებარება.

სულ ათნი არიან - 5 გოგონა და 5 ვაჟი. დარბაზიდან სცენას ორი ასასვლელი აქვს. რეჟისორ-პადაგოგის ჩანაფიქრით გოგონები მარცხენა, ვაჟები კი მარჯვენა კიბეებით რიტმულად, ნელი ნაბიჯებით ადიან სცენაზე და წრეობრივად განლაგდებიან. ხან დასხდებიან, ხანაც ფეხზე მდგომნი ურთიერთობენ ერთმანეთთან. თითოეულ მათგანს ხელთ „ვეფხისტყაოსნის“ წიგნი უჭირავს, თუმცა მხოლოდ რუსთაველის გენიალური ნაწარმოების კითხვით არ შემოფარგლულან. ელდინო საღარაძემ განავრცო ჩანაფიქრი - „ვეფხისტყაოსანს“ მოხდენილად შეუხამა ირაკლი აბაშიძის პოეზიის გვირგვინის „რუსთაველის ნაკვალევზე“ რამდენიმე შედევრი და ერთსაათიან ლიტერატურულ-მუსიკალურ კომპოზიციას უწოდა „ფარ-ხმალო მამა-პაპისა“.

უნდა ვაღიაროთ, რომ მღვრიე, აფორიაქებულ სამყაროში გვიწევს ცხოვრება. ქართველმა კაცმა თითქოს დაკარგა სილაღე, დასევდიანდა, მომავლისადმი უნდობლობის ფერები მომძლავრდა მის არსებაში, განელდა ჩვენი საამაყო გმირებისადმი აღფრთოვანება, ერთგვარად მიყუჩდა პატრიოტული მუხტი; მომავალმა თაობამ ნაკლებად, ან სულაც არ იცის ჩვენი წინაპრების საარაკო ბრძოლების ისტორია. ასეთ ვითარებაში მსგავსი საღამოების ჩატარება, თანაც დევნილთა უბანზე, მიმაჩნია, რომ ფასდაუდებელი სამსახურია!

კოპმპოზიციის ერთგვარ კამერტონად მოგვევლინა გიორგი ლეონიძის ლექსი „ვეფხისტყაოსანს“, რომელსაც გადაეჭდო ნაწყვეტები პოემიდან: „ჰე, ღმერთო, ერთო...“, „შაირობა პირველადვე... “, „მიჯნურობა არის ტურფა... “, „იყო არაბეთს როსტევან... “, „ნახეს უცხო მოყმე ვინმე... “, „ავთანდილის ანდერძი“, „ნესტანის წერილი“...

თვალთუხილავი ძაფით შეიკინძა ირაკლი აბაშიძის სულის ამოძახილი ლექსებში ციკლიდან „რუსთაველის ნაკვალევზე„: „შენ აქ ხარ“, „ვინ იცის, როგორ მელის ვარძია“, „ხმა თეთრ სენაკში“, „ხმა ზეთისხილის ბაღში“, „ხმა კატამონთან“, „უცნობი მინაწერი პალესტინის პერგამენტზე“ - და, რაც მთავარია, ბუნებრივად შეენივთა შოთა რუსთაველის ფილოსოფიურ ნააზრევს.

პედაგოგის ერუდიცია, გემოვნება და შინაგანი მუსიკალური ხმა განაპირობებს მასალის შერჩევის სიზუსტეს. „ვეფხისტყაოსნის“ ზღვა მასალიდან კამერული ჩვენებისათვის ამოკრიბო სტილისტურად და აზრობრივად ურთიერთდამაკავშირებელი მონაკვეთები, თან იმდაგვარად, რომ თანამედროვე პოეტის ქმნილებები (თუნდაც რუსთაველისადმი მიძღვნილი) ერთ მხატვრულ ქარგაში მოაქციო, არცთუ იოლი ამოცანაა. ელდინო საღარაძემ ეს სირთულე შემოქმედებით ქურაში გამოაწრთო და წარმატებასაც მიაღწია.

ხშირად გარკვეული საშიშროების წინაშე აღმოჩენილა მასწავლებელი, რომელიც ნორჩ ასაკში მუშაობს ბავშვებთან მხატვრული კითხვის ურთულეს სფეროში. ეს ხომ ციცაბო ბილიკზე გავლას უდრის!

მხატვრული კითხვის ჩინებული ოსტატი ელდინო საღარაძე არანაკლებ წარმატებულ პედაგოგად წარმოჩინდა. ყველაზე მნიშვნელოვანი, რითაც მან თავი დაგვამახსოვრა, გახლავთ ის, რომ თითოეულ მოწაფესთან ინდივიდუალური მიდგომის მეთოდი გამოიყენა - ზოგი ჭარბი ტემპერამენტით (თუმცა, ყალბი პათეტიკის გარეშე) წარმოგვიდგა, ზოგმა ნოსტალგიური, ფიქრიანი განწყობილება წამოსწია წინ, ზოგი თხრობით მანერაში ცდილობდა ეგრძნობინებინა ნაწარმოების განწყობილება - ერთი სიტყვით, შესაძლებლობათა ამპლიტუდის მრავალფეროვნებით პედაგოგმა მიაღწია უმთავრესს: სიტყვისა და პლასტიკის, აზროვნებისა და განცდის ერთობლიობას.

ჩანაფიქრის ხორცშესხმაში ელდინო საღარაძეს მხარი აუბეს: საბა გურგენიძემ (ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლა). ანასტასია არსენიშვილმა (N32 საჯარო სკოლა). ანა ბასარიამ (საპატრიარქოს სკოლა-პანსიონი). ნიკოლოზ ზურაბიანმა (N161 საჯარო სკოლა). ალექსანდრე მუკბანიანმა (N4 საჯარო სკოლა). მარიამ მინდიაშვილმა (N69 საჯარო სკოლა). სანდრო გუძიშვილმა (N47 საჯარო სკოლა). ანდრია იაშაღაშვილმა (N20 საჯარო სკოლა). ნინო კაკაბაძემ (N174 საჯარო სკოლა). ნიკა დარსალიამ (N24 საჯარო სკოლა).

მინი-სპექტაკლის შემდეგ, მასპინძელი სკოლის მეათე კლასის მოსწავლეებმა სანდრო ბასარიამ და რევაზ ჩაკვეტაძემ სტუმრებს წაუკითხეს მიხეილ ქვლივიძისა და ბაღათერ არაბულის ლექსები.

შენობაში გამეფებული სიცივის მიუხედავად, პოეზიის სხივით გამთბარმა მაყურებელმა უკეთესი მომავლის იმედით დატოვა დარბაზი.

ვაჟა ძიგუა

„დედამიწას სიყვარული აგრიალებს“

ქართული ასოებით მოქარგული ეს ფრაზა დაგვხვდა აფხაზეთის ჯუმბერ ბეთაშვილის სახელობის N2 საჯარო სკოლის ერთი პატარა საკლასო ოთახის დაფაზე. კედელზე ძლიერი, ტოტებგაშლილი ხე, რომელსაც ფოთლების ნაცვლად ყველა თაობის უსაყვარლესი მწერლის, ცოცხალი ლეგენდის გურამ დოჩანაშვილის ნაწარმოებებიდან ამონარიდი ფრაზები ესხა: „ვისაც არ უნდა შეედარო, შენ მაინც იგივე იქნები, ზუსტად იგივე“, „არაფერი ისე გადამდები არ არის, როგორც გულწრფელი ღიმილი“, „ყოველი ნორმალური მოთხრობის წაკითხვის შემდეგ ხდები ოდნავ უკეთესი, ვიდრე ხარ და უფრო ჭკვიანი, ვიდრე იყავი“ და კიდევ მრავალი. ატმოსფეროც შესაფერისი იყო - ინტერესითა და მოწიწებით თვალანთებული ახალგაზრდები, რომლებსაც წილად ხვდათ ბედნიერება გასცნობოდნენ ჩვენს უსაყვარლეს კლა-

სიკოსს, რომელიც სკოლას აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის მიწვევით ესტუმრა. შეხვედრას, სკოლის მოსწავლეებისა და პედაგოგების გარდა, ესწრებოდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, მთავრობის აპარატის წარმომადგენლები, აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თანამშრომლები. მოსწავლეებმა წაიკითხეს ნაწყვეტები გურამ დოჩანაშვილის ნაწარმოებებიდან და წარმოადგინეს მინი-სცენა მოთხრობიდან „მთების გადაღმა“.

ბოლოს ბატონმა გურამმა ახალგაზრდების შეკითხვებს უპასუხა. მან გაიხსენა ბავშვობა, როდესაც მოზარდი თაობის განვითარების უძლიერეს იარაღს წიგნი წარმოადგენდა, შეადარა თანამედროვე ვითარებას, როდესაც წიგნი, სამწუხაროდ, საეჭვო ღირებულებებმა ჩაანაცვლეს, რაც იწვევს სწორედ იმ აგრესიასა და დაუნდობლობას, რაც ჩვენ ირგვლივაა გამეფებული. თბილად, მოწიწებით ისაუბრა უწმიდესსა და უნეტარეს ილია მეორეზე და ურჩია ბავშვებს, იკითხონ უწმიდესის ეპისტოლეები, „წიგნთა წიგნი“ - ბიბლია და მაშინ სხვა თვალით შეხედავენ სამყაროს, გასაჭირსაც უფრო იოლად გაუმკლავდებიან, რადგან ჩვენ ის მართლმადიდებელი ერი ვართ, რომელსაც დიდი შემოქმედებითი პოტენციალი ჰქონდა როგორც აღმავლობის ეპოქაში - დავით აღმაშენებლისა და თამარის დროს, ისე გასაჭირის ჟამს, როდესაც მოღვაწეობდნენ ილია, ვაჟა, აკაკი, იაკობ გოგებაშვილი. ჩვენს უწმიდესს სჯერა, რომ ყველაფერი გადაივლის, ძალიან ძნელი კი არის, მაგრამ ეს გაჭირვება ყველა უბედურებასთან ერთად, დიდი სიკეთეცაა, ამაღლების საშუალებაა, - ბრძანა ბატონმა გურამმა.

შემდეგ მწერალმა ისაუბრა აფხაზეთზე, რომელთანაც ბევრი ტკბილი მოგონება აკაშირებს, ვინაიდან ბავშვობაში ყველა არდადეგებს თითქმის აფხაზეთში ატარებდა, ხოლო შემდეგ, უკვე როგორც მეცნიერი, წლების მანძილზე მონაწილეობდა არქეოლოგიურ გათხრებში.

-„ არ ვიცი, ალბათ, ბევრ აფხაზს არ ექნება მოვლილი ისე აფხაზეთი, როგორც ჩვენ, ქვის ხანის განყოფილებას. ძველ ადამიანს ჰქონდა გემოვნება. გამოქვაბულს თუ პირი აღმოსავლეთისკენ არა აქვს, მისი გათხრა არც ღირს, რადგან იმ ძველ ადამიანს დილის მზე უყვარდა, გამოქვაბულში კი ზაფხულში გრილოდა, ზამთარში თბილოდა. აფხაზეთი ბევრს, განსაკუთრებით ჩამოსულებს, ჰგონიათ, რომ არის მხოლოდ სოხუმი, გაგრა და ბიჭვინთა. მთიანი აფხაზეთისთანა ლამაზი იშვიათია. რიწის ტბა, მაგალითად. სოფელ მერხეულის და წებელდის გავლით ვცხოვრობდით ამტყელში. იქ გათხრებს ვაწარმოებდით. ამტყელის წითელი ხიდიდან იწყება აფხაზეთის სვანეთი. იმ გამოქვაბულში სვანები ჩერდებოდნენ ხოლმე ღამე, რომ ამოდიოდნენ ფეხით და ბატონმა ნიკომ დაარქვა „სვანთა სავანე“. 5 წელი ვმუშაობდით იქ, შემდეგ კიდევ ზევით, ბზიფის და კოდორის ხეობების დაზვერვა, მერე გალში - ღუმურიშში და ოქუმში გვქონდა გათხრები... “ - ბრძანა ბატონმა გურამმა.

ძალიან მტკივა აფხაზეთი, - განაგრძო მან. - იქ ერთხელ ნამყოფი ადამიანი ვერ ივიწყებს მას და თქვენთვის ხომ განსაკუთრებით მძიმეა, მაგრამ ისევ იმედით ვარ, აუცილებლად დაგიბრუნდებათ. ეს უწმიდესის ღრმა რწმენაა.

მწერალმა კიდევ ბევრი საინტერესო რამ უთხრა ახალგაზრდებს და ბოლოს უწმიდესის ნათქვამი გაიხსენა: „უწმიდესმა ბრძანა : ღმერთი ხომ ამოუხსნელია, თეოლოგები ვერ ხსნიან და ერთ ბავშვს აუხსნია თურმე, 4 წლისას, როგორც სახარებაში წერია: იმას, რაც არ მოელანდება უფროსებს, ბავშვი გულით მიხვდებაო. ღმერთი ისეთი დიდია, რომ სუყველაფერს იტევსო (დიადი არ იცოდა სიტყვა) და კიდევ ისეთი პატარაც არისო, რომ ჩემს გულში ეტევაო“. ამაზე კარგი ახსნა, ალბათ, არ არსებობს...

კლასიკოსს მობრძანებისათვის მადლობა გადაუხადეს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ, სკოლის დირექტორმა ნანა ჯალაღონიამ, ცენტრის თავმჯდომარე ირინა ქეცბამ, რომელმაც ბატონ გურამს ცენტრის სახელით საჩუქარი გადასცა, ხოლო სკოლას - გურამ დოჩანაშვილის ოთხტომეული მწერლის ავტოგრაფით.

საღამოში მონაწილე მოსწავლეებს ხელთ ეპყრათ ფურცლები წარწერით „კარცერ-ლუქსი“, თუმცა, ამ შეხვედრის შემდეგ, ალბათ, დამსწრეებს არასოდეს დასჭირდებათ ეს საგანგებო საკანი, რადგან თებერვლის იმ სუსხიან დღეს დიდმა სიყვარულმა გაათბო ყველა...

ციცინო ჯულუხიძე

„... და ეტეოდა ჰატარა ქერქვეშ, მთლად საქართველო და აფხაზეთი . . .„

ისევ კამერული გარემო აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრში. ისევ მონატრება მშობლიური ცისა და მიწისა... თითქოს ხსოვნისა და მოგონების შუქი გვათბობდა დარბაზში მსხდომთ... თითქოს აფხაზმა ისევ გაჭრა ფანჯარა ქართველის ეზოსკენ. 21 თებერვალი, 2018 წელი.

მრავლისმთქმელი, მრავლისმომცველი ტრადიცია დაამკვიდრა ცენტრის თავმჯდომარემ, ან განსვენებულმა ქალბატონმა სვეტლანა ქეცბამ, რომლის როლი გამორჩეულია ქართულ-აფხაზური ურთიერთობების განმტკიცებაში. მისი ცხოვრების არსი ამ ურთიერთობების შენარჩუნება იყო სულიერების ამაღლებისა და ხელოვნების გზით. მისი აზრით, მხოლოდ ამ ფასეულებებს შეეძლო მალამოდ დადებოდა ერთმანეთისთვის მიყენებულ იარებს.

თორმეტი წელია, რაც თბილისში ყოველწლიურად აღინიშნება აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლის, ქართულ-აფხაზური ურთიერთობის უდიდესი მოამაგის, პოეტ დიმიტრი გულიას დაბადების დღე. დღევანდელი საღამოც ქალბატონ სვეტლანა ქეცბას იდეის, მისი დაწყებული საქმის გაგრძელების კიდევ ერთი დასტურია, დასტური, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი კონტაქტების აღდგენა ჰქვია.

ამჯერად საღამო მიეძღვნა ქართველთა და აფხაზთა მეგობრობის დიდ მომღერალს, პოეტ ივანე თარბას. ის დიმიტრი გულიას საქმის გამორჩეული გამგრძელებელი იყო, რომლისადმი სიყვარული და პატივისცემა არაერთი ლექსის „პწკარშია შეხიზნული“.

საღამოს ესწრებოდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, მისი მრჩეველი პეტრე კანკავა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები და აფხაზეთის ინტელიგენციის წარმომადგენლები.

საღამო მიჰყავდა ცენტრის თანამშრომელ ციცინო ჯულუხიძეს.

თანდათან იშლებოდა ხსოვნისა და მოგონებების წიგნი, საერთო აღტაცება და სიხარული გამოიწვია ცენტრის თავმჯდომარე ირინა ქეცბას მიერ აფხაზურად, აფხაზური ინტონაციით წარმოთქმულმა ლექსმა „სკამი პოეტისა“, ქალბატონმა ციცინომ კი მაყურებელს ქართულად იგივე ლექსი გიორგი კაჭახიძის თარგმანით შესთავაზა.

„ნაჭედი სიტყვა“- ასე უწოდა ივანე თარბას შემოქმედებისადმი მიძღვნილ გამოსვლას მარინა ტურავამ, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა. მან თავისი ერუდიციითა და მიმზიდველი ტემბრით, დარბაზთან უშუალო დამოკიდებულებითა და პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ღრმა ცოდნით, საქმისადმი გულწრფელი მიდგომით მოხიბლა დამსწრე საზოგადოება. ისაუბრა ივანე თარბას ცხოვრებაზე, პოეზიაზე, პოეტზე, რომელმაც დიმიტრი გულიას პოეტური თუ მოქალაქეობრივი ტრადიცია კიდევ უფრო განავითარა და განამტკიცა. ყურადღება გაამახვილა პოეტის ძირითად ტენდენციებსა და განწყობებზე. „მისი პოეზიის გამორჩეული ნაწილი, სწორედ ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობებს, მრავალსაუკუნოვან მეგობრობას ეძღვნება და ის ბოლომდე თავისი მსოფლშეგრძნების ერთგული დარჩა“- აღნიშნა მარინა ტურავამ.

ქ. თბილისის №6 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლემ, აფხაზეთიდან დევნილმა ანანო კუხალაშვილმა ემოციურად, ახალგაზრდული გზნებით წაიკითხა ივანე თარბას ლექსი „სახლი“, რომელიც თარგმნა თამარ ერისთავმა. ნორჩი მკითხველის ასეთნაირად გააზრებულმა ლექსმა დარბაზში მსხდომთა ცნობიერებაშიც გააცოცხლა მშობლიური სახლის „სივრცე და სიმაღლე“, მოანატრა მშობლიური სანახები...

აფხაზეთის ჯუმბერ ბეთაშვილის სახელობის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ვიკა ჟვანიამ და ანა კუკავამ მონაცვლეობით წაიკითხეს იგივე ლექსი აფხაზურ ენაზე.

პოეზია მუსიკით ჩაანაცვლეს სოხუმის მუსიკალური სკოლის პედაგოგებმა ზურაბ კვერნაძემ და ნესტან ქარდავამ. მათ ააჟღერეს უკვდავი კლასიკური მუსიკა, ბახის - „ქორალი“.

ვერც მოგონებებისაგან აფხაზეთზე შეიკავა თავი ზურაბ კვერნაძემ. მან გაიხსენა სოხუმში გატარებული ცხოვრების ულამაზესი წლები, სადაც დაიბადა და აღიზარდა. მუსიკალური სასწავლებელი, რომლის დირექტორიც ქალბატონი სვეტლანა ქეცბა იყო და დასძინა „თქვენთან სიამოვნებით მოვდივარ, ვიცი, რომ აქ ჩემი აფხაზეთი მხვდება“...

ქართველი პოეტებიდან ივანე თარბა განსაკუთრებით რევაზ მარგიანთან მეგობრობდა. იგი თავის წერილებში თბილად იხსენიებს მის ჭერქვეშ გატარებულ სტუდენტობის წლებს:

„... ის დრო მრავალჯერ დამსიზმრებია
და კიდევ ბევრჯერ დავესესხები
სარდაფებს ბევრჯერ შეხიზნებია
ჩვენი ლანდები, როგორც ფრესკები... “

ისევ მუსიკა... ქართული ჰანგი... მერაბ მერაბიშვილის „მელოდია“ კვლავ საფორტეპიანო დუეტის შესრულებით დაირხა დარბაზში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელმა ბატონმა პეტრე კანკავამ თავის გამოსვლაში აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის არსებობას და მის როლს ქართველებსა და აფხაზებს შორის ჩატეხილი ხიდის გამთლიანებაში. „საქართველოსა და აფხაზეთის მთავრობები აკეთებენ და მომავალშიც თქვენთან ერთად გააგრძელებენ ამ კუთხით მუშაობას. ვფიქრობ, ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯი აფხაზეთთან დამოკიდებულებაში მნიშვნელოვნად წაადგება კონფლიქტის დარეგულირების საქმეს. უდიდესი მადლობა წინა თავმჯდომარეს, აწ განსვენებულ ქალბატონ სვეტლანა ქეცბას, რომელიც ურთულეს პერიოდში აკეთებდა ქართულ-აფხაზურ საქმეს. მჯერა, რომ ქალბატონი ირინა გააგრძელებს მის გზას. ჩვენ მას ყოველმხრივ ამოვუდგებით მხარში და ერთად მივალთ იმ საერთო მიზნამდე, რასაც აფხაზეთში დაბრუნება ჰქვია.

დაბოლოს, ქალბატონმა ირინა ქეცბამ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას და აღუთქვა, რომ ის გააგრძელებს ქალბატონი სვეტლანას ტრადიციას და აფხაზეთში დაბრუნებამდე ეს პატარა ჭერი კვლავ დაიტევს „მთლად საქართველოსა და აფხაზეთს. “

მედეა ზუხგაია

სოხუმის სამუსიკო სასწავლებლის მორიგი სტუმრობა

არ შევცდები, თუ ვიტყვით, რომ აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი თითქმის ერთადერთი „მყუდრო სავანეა“ დედაქალაქში, სადაც არა მხოლოდ დევნილები, ძირძველი თბილისელებიც მუდამ სიამოვნებით იკრიბებიან. ეს ხომ ბუნებრივია: აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია; ისევე, როგორც საქართველოს სხვა კუთხის მცხოვრებთა პრობლემები, ჩვენი სამშობლოს საერთო საზრუნავია. ცენტრის მოღვაწეობის მიზიდულობის ძალა უნდა ვეძებოთ იმ მოქნილ სტრატეგიაში, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ჩვენმა დიდმა ტკივილმა, ცნობილმა მუსიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ, აწ განსვენებულმა ცენტრის თავმჯდომარე სვეტლანა ქეცბამ.

ხელოვნების ზემოქმედების ძალა მარადიულია ყველა დროსა და ეპოქაში. სწორედ ეს ჭეშმარიტება უდევს საფუძვლად ცენტრის საქმიანობას - ფართო კონტაქტი და დიალოგი ამ სფეროს გამოჩენილ ადამიანებსა თუ შემოქმედებით კოლექტივებთან.

ასეთი მორიგი შეხვედრა შედგა ცენტრის დარბაზში 27 თებერვალს პოპულარულ საოპერო მომღერალ თემურ გუგუშვილთან და კომპოზიტორ ვაჟა დურგლიშვილთან. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სტუმრების მასპინძელი იყო აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი და სოხუმის დიმიტრი არაყიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელი, ამავდროულად საღამოს მონაწილე.

საღამო გახსნა და დარბაზში შეკრებილთ მიესალმა ცენტრის თავმჯდომარე ირინა ქეცბა, შემდეგ სიტყვა გადასცა სასწავლებლის დირექტორს, ლოტბარ დავით ოკუჯავას. ბატონმა დავითმა მადლობა გადაუხადა ცენტრს მჭიდრო თანამშრომლობისათვის, განსაკუთრებული სითბოთი გაიხსენა ქალბატონი სვეტლანა ქეცბა, მისი წვლილი მსგავსი საღამოების ჩატარების საქმეში და დარბაზს სთხოვა წამიერი დუმილით პატივი მიეგო მისი ხსოვნისადმი.

სცენაზე სასწავლებლის უმცროსი ასაკის მოსწავლეთა გუნდი მოეწყო და შიო მღვიმელის, მორის ფოცხიშვილის, ილია სიხარულიძის, ცირა ქიტიაშვილისა და სხვათა ტექსტებზე შექმნილი ვაჟა დურგლიშვილის სიმღერები შეასრულა. მათი ჩამონათვალი არც თუ ისე მცირეა: „„წელიწადო ახალო“, „აჩუ-აჩუ“, „ეშმაკუნა ბილიკები“, „ენძელა“, „ბატი-ბუტი“, „თბილისური განთიადი“, „იბრწყინე საქართველო“, „თოვს და თოვს“. საშემსრულებლო კულტურა, ჟღერადობა, ერთიანობა და, რაც მთავარია, დიდი სიყვარული იმ სიმღერებისა, რომლებსაც ისეთი მონდომებით, გულწრფელობითა და უშუალობით აცოცხლებდნენ, არ შეიძლებოდა ეს განწყობა მსმენელსაც არ გადასდებოდა.

უმცროსთა გუნდი სასწვლებლის უფროსი ასაკის მოსწავლეთა გუნდმა შეცვალა, რომელმაც ასეთივე წარმატებით შეასრულა კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის სიმღერები. განსაკუთრებული ემოცია ჩააქსოვეს მამია ჩორგოლაშვილის ტექსტზე შექმნილ სიმღერაში - „სოხუმი კი ისევ გულში გვიხუტებს“. მართალია ეს თაობა არ შესწრებია ომის საშინელებას, მაგრამ ნამღერში იგრძნობოდა ის განწყობა, რომელიც თითოეულ ჩვენგანს გააჩნია.

ახალგაზრდათა შესრულებას ენთუზიაზმს მატებდა ის გარემოება, რომ დარბაზში იმყოფებოდა კომპოზიტორი ვაჟა დურგლიშვილი. მან ვერ დამალა თავისი კმაყოფილება და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი მუსიკის ასეთი კარგი შესრულება კარგა ხანია, არ მოუსმენია, ხოლო ზოგიერთი მათგანი კი დღეს საერთოდ პირველად აჟღერდა. ავტორმა გამოთქვა იმედი, რომ მისი თანამშრომლობა სოხუმის დიმიტრი არაყიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელთან გაგრძელდება და მოხარული იქნება, თუ სასწავლებლის გოგონათა გუნდი მიიღებს მონაწილეობას კონცერტში, რომელიც კომპოზიტორის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება. ამ წინადადებას დარბაზი სიხარულითა და აღტაცებით შეხვდა.

კონცერტის წარმატება დიდად განაპირობა სასწავლებლის დირექტორის ლოტბარ დავით ოკუჯავას, პედაგოგების თამარ იაშვილის, რომან გადრანისა და კონცერტმაისტერ მანანა ბერულავას თავდაუზოგავმა შრომამ.

არ არსებობს ღირსშესანიშნავი თარიღი თუ მოვლენა ხელოვნებაში, რომელსაც აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი არ გამოხმაურებოდა. ტრადიციას არც ამჯერად უღალატა. სასწავლებლის ბავშვების გასაცნობად თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი, საქართველოს სახალხო არტისტი, მრავალი პრემიის ლაურეატი, მომღერალი თემურ გუგუშვილი მოიწვია. მოწვევის მიზეზი მისთვის ვარსკვლავის გახსნა გახდა. მომღერალმა ძალიან თბილად მიმართა კონცერტის მონაწილეებსა და დარბაზს:

- მინდა მივესალმო და მივეფერო სასწავლებლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს, ადამიანებს, რომლებიც საქართველოს მიწაზე დაიბადნენ, მოწყვეტილნი არიან მშობლიურ კერას. იმედია, სულ მოკლე ხანში დაუბრუნდებიან თავიანთ მხარეს. დღეს რაც აქ მოვისმინე, ჩემთვის სიხარულისა და სიამაყის მომგვრელია. გავიცანით, დავტკბით და მოვიხიბლეთ ამ პატარების შემოქმედებით. მათგან ყველა შეიძლება დიდი მომღერალი ან მუსიკოსი არ გამოვიდეს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ისინი მთლიანი, ერთიანი საქართველოს კარგ მოქალაქეებად გაიზრდებიან, რომელიც ასე სჭირდება ჩვენს ქვეყანას.

და ბოლოს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ აღნიშნა, რომ ცენტრი არასოდეს იშურებდა ძალ-ღონეს ასეთი მშვენიერი ღონისძიებების ჩასატარებლად. „ახალი თავმჯდომარე, ახალგაზრდა ქალბატონი ირინა ქეცბა აგრძელებს ამ ტრადიციას და დღევანდელი სტუმრების მობრძანებაც ამის დასტურია. და ეს ბავშვები, რომლებიც ასეთი გაფაციცებითა და ყურადღებით გისმენდნენ, კეთილშობილ ადამიანებად გაიზრდებიან. მინდა მადლობა გადავუხადო სასწავლებლის დირექტორს დავით ოკუჯავას და მთელ კოლექტივს, რომლებიც დღეგადაღამ შრომობენ და ასეთ კეთილ საქმეს აკეთებენ, “ - ბრძანა ბატონმა ვახტანგმა.

საღამომ, სადაც საზეიმო, სევდიანი და, ამავდროულად, ოპტიმისტური განწყობა სუფევდა, კიდევ ერთხელ ჩაგვისახა იმედი, რომ აფხაზეთიდან დევნილი ოჯახების უნიჭიერესი ახალი თაობა არაერთგზის გვასახელებს და ამის მოწმენი უკვე თავიანთ ფუძეში, ესოდენ მონატრებულ სოხუმში გავხდებით.

ნანა წილოსანი

მიძღვნა ქალბატონებს

ის დღე აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრში მოსულთათვის ერთდროულად სევდიანიც იყო და სასიხარულოც სევდიანი, რამდენადაც პირველად აღინიშნებოდა ქალთა დღესასწაული დიდი ქალბატონის, ამ ცენტრის სულისჩამდგმელის და წლების მანძილზე მისი ხელმძღვანელის, სვეტლანა ქეცბას გარეშე. სასიხარულო, რამდენადაც ეს შეკრება მანდილოსნებს ეძღვნებოდა და კიდევ იმიტომ, რომ როგორც აღინიშნა, აქ ყველაფერი გრძელდება ისე, როგორც ქალბატონ სვეტლანას გაუხარდებოდა.

საზეიმო შეხვედრა ასე ჩაიფიქრეს ორგანიზატორებმა, გამოერჩიათ ქალბატონები, რომელთაც წელს საიუბილეო თარიღი აქვთ და რომელთა არსებობაც მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის და პოზიტიური აზრითა და ენერგიით აღავსებს ჩვენს ყოფას. ასეთია, მაგალითად, ნესტან (ნუგეშა) მესხი. მის შესახებ ხშირად ამბობენ, რომ იგი ამშვენებს საზოგადოებას. ბევრი მას, როგორც კომპოზიტორ ბიძინა კვერნაძის მეუღლეს იცნობს, მაგრამ მასზე ქართული მუსიკის ენციკლოპედიურ ლექსიკონში წერია, რომ ის არაერთი ქართული საფორტეპიანო ქმნილების: ალექსი მაჭავარიანის, რევაზ ლაღიძის, ბიძინა კვერნაძის, სულხან ნასიძის, მერი დავითაშვილის, ამასთან ერთად ერეკლე ჯაბადარის ნაწარმოებების პირველი შემსრულებელია. ქალბატონი ნუგეშა ათეული წლების მანძილზე ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში. ბოლო დროს იგი პოპულარული გახდა, როგორც რადიოს გადაცემების -„კლასიკის საათის“ წამყვანი. მისი პიროვნების მრავალფეროვნება ყველაზე მკაფიოდ წამოჩნდება პუბლიცისტურ- კრიტიკული წერილებიდან და საჯარო გამოსვლებიდან.

ნუნუ დუღაშვილის შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა. მან სიმღერის ქვეყანაში - საქართველოში შეძლო თავისი სიტყვა ეთქვა ამ ჟანრში და გაეცებინა თვით ქართული სიმღერის კლასიკოსები (ცნობილია დიდი რევაზ ლაღიძის აღფრთოვანებული გამოხმაურება მის შესახებ). მისი სიმღერები ეროვნულ ნიადაგზეა ამოზრდილი, მაგრამ არსად ვხვდებით ციტირების ფაქტს. ეს ითქმის, როგორც იმერული ქალაქური სიმღერის ყაიდაზე, ასევე ქართლ-კახურ ნიადაგზე და თბილისური კოლორიტით შექმნილ სიმღერებზე. მთავარია მაინც, ის, რომ ნუნუ დუღაშვილი ავტორია სიმღერების („ქართულო მიწავ“, „გიყვარდეთ საქართველო“, „კახეთო„). რომელთაც ძალუძთ მსმენელზე ისეთი ზემოქმედება, რომ მათში ეროვნული გრძნობის მცირე ნაპერწკალიც კი ცეცხლად გარდაქმნას.

ამ შეკრებას ესწრებოდა ერთ-ერთი მთავარი გმირი - იუბილარი - სოხუმის მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგი ლამარა ცხაკაია, ამაგდარი პიროვნება, ერთ-ერთი საყრდენი ძალა ჯერ კიდევ სოხუმში და მერე უკვე თბილისშიც, როდესაც ქალბატონმა სვეტლანა ქეცბამ კვლავ ააღორძინა აფხაზეთის მუსიკალური განათლების კერა. ქალბატონი ლამარას ღვაწლსა და პიროვნულ თვისებებზე ისაუბრა ამავე სასწავლებლის პედაგოგმა ვიოლეტა აკიშბაიამ. ღვაწლმოსილ პედაგოგს საიუბილეო თარიღი მიულოცა და მრავალი მადლიერებით აღსავსე სიტყვა უთხრა სასწავლებლის დირექტორმა, ცენტრის მეგობარმა დავით ოკუჯავამ. თავად ქალბატონმა ლამარამ თავისი მოგონებებით აუდიტორია გადაიყვანა იმ ბედნიერ დროში, როდესაც ყველანი სოხუმში სისხლსავსე ცხოვრების მონაწილენი იყვნენ. მუსიკალური მილოცვა უძღვნა თავის ძვირფას პედაგოგს თამარ კიკალიშვილმა შოპენის „ექსპრომტ-ფანტაზიით“.

მოგონებების ნაკადი გააგრძელა ამავე სასწავლებლის პედაგოგმა მანანა გეგეჭკორმა, რომელმაც თავისი დამოკიდებულება გამოხატა არა მხოლოდ თავისი კოლეგის, ქალბატონი ლამარა ცხაკაიას მიმართ, არამედ ქალბატონების - ნუნუ დუღაშვილისა და ნესტან მესხის მიმართაც.

მოწვეული საზოგადოებისთვის სიურპრიზს წარმოადგენდა ახალგაზრდა მომღერალ ალექსანდრე თიბელაშვილის გაცნობა. როგორც მისმა პედაგოგმა, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორმა თემურ ელიავამ აღნიშნა, ის ემზადება საოპერო სტუდიის სცენაზე ზაქარია ფალიაშილის ოპერა „დაისში“ მალხაზის პარტიის შესასრულებლად და ამ საღამოს მისი დებიუტი ცენტრში სწორედ მალხაზის არიით შედგა.

თავყრილობა დაამშვენა კიდევ ერთმა იუბილარმა კომპოზიტორმა ლელა მაქარაშვილმა, რომელმაც შეასრულა საფორტეპიანო იმპროვიზაციები ქართველი ქალი კომპოზიტორების სიმღერების თემებზე.

დასასრულ სულიერებისა და კულტურის ცენტრის ახალმა ხელმძღვანელმა, თავად მშვენიერმა ქალბატონმა ირინა ქეცბამ სამახსოვრო საჩუქრები გადასცა ღვაწლმოსილ პედაგოგ ლამარა ცხაკაიასა და კომპოზიტორ ლელა მაქარაშვილს, ხოლო დარბაზში მყოფ ქალბატონებს - ვარდის კოკრებით დახუნძლული ტოტები.

თამარ წულუკიძე

ღირსი დოსითეოზ ქუთათელი (+1820) 6 (19) ივნისი

ღირსი დოსითეოზ ქუთათელი (ერისკაცობაში დავით ნიკოლოზის ძე წერეთელი) დაიბადა საჩხერეში 1750 წლის ახლო ხანებში. მათი საგვარეულო რეზიდენცია საჩხერეში მდებარეობდა, ხოლო სალოცავები და ძვალთშესალაგი - მღვიმებისა და ჯრუჭის მონასტრები იყო. დოსითეოსის ბაბუა პაპუნა წერეთელი 1720-იან წლებში იმერეთის სამეფოს ზემო მხარის სარდალი, ხოლო მამა - ნიკოლოზ წერეთელი, მეფე სოლომონ პირველის მაბჯრეთუხუცესი და მეფის თარჯიმანიც გახლდათ. დოსითეოზს ოთხი ძმა ჰყავდა: ბეჟანი, ვახუშტი, გიორგი და ქველი. მეფის კარზე დაწინაურებული ოჯახი ისტორიულად მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა ქვეყნის მთლიანობისა და სიმტკიცისათვის.

დავითმა მონაზვნური ცხოვრება აირჩია და მონასტერში დაემკვიდრა სამოღვაწეოდ. დავითი მალევე აღკვეცეს და სახელად დოსითეოზი უწოდეს. სიწმიდითა და სიბრძნით გამორჩეული წმიდა დოსითეოზი 1781 წელს იქნა დადგენილი მღვდელმთავრად ქუთაისის სამიტროპოლიტო კათედრაზე. სამეუფო მადლმა კიდევ უფრო გააბრწყინა ეკლესიისა და ერისათვის თავდადებული მოღვაწე, იგი დაუცხრომელად ზრუნავდა სამწყსოს სულიერ განათლებაზე და ყოველნაირად ცდილობდა განემტკიცებინა ხალხში სარწმუნოებრივ-სახელმწიფოებრივი აზროვნება.

მეუფე დოსითეოზი დიდ ყურადღებას აქცევდა საკათალიკოსი და საეპარქიო მეურნეობებს. ძალიან დაახლოებული იყო იმერეთის სამეფო კართან და აქტიურად უჭერდა მხარს ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას. ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები და შიდა ურთიერთდაპირისპირებები აიძულებდა წმიდა დოსიეთეოზს აქტიური მონაწილეობა მიეღო საერო საკითხების გადაწყვეტაშიც.

1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე, ქართლ-კახეთის სამეფო შევიდა რუსეთის მფარველობაში, რუსეთის მთავრობა უხეშად ცდილობდა შეეერთებინა საქართველოს დანარჩენი სამთავროები. დოსითეოზ ქუთათელისა და ეფთვიმე გაენათელის მონაწილეობით 1789 წელს იმერეთის დელეგაცია ეწვია ქართლ-კახეთის მეფე ერეკლეს და სთხოვეს თავის ძალაუფლების ქვეშ გაეერთიანებინა ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოები, რაც სამწუხაროდ ვერ განხორციელდა.

1795 წლიდან დოსითეოზი დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს გამგებლად იხსენიება, ამა წლის 26 აპრილს მეფე ერეკლეს მეუღლე დედოფალი დარეჯანი, მეუფე დოსითეოზისადმი მიწერილ წერილში მას კათოლიკოსად იხსენიებს: „დოსითეოზს, მათ უწმინდესობას, სრულიად იმერთა და ოდიშ-აფხაზთა კათოლიკოზს... “, არსებობს 1789 წელს მეფე სოლომონის დადასტურებული დოკუმენტი, სადაც უწყებულია, რომ „ქუთათელ მიტროპოლიტს დოსითეოზს კათოლიკოზობა უბოძეთ“. მაგრამ დოსითეოზი კათოლიკოზად არ იყო ნაკურთხი და იგი თავის თავს მხოლოდ საკათალიკოსოს გამგებლად იხსენიებს.

რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკით გატანჯული ხალხი ხმამაღლა გამოხატავდა უკმაყოფილებას, 1819 წელს იმერეთში აჯანყებამ იფეთქა, რუსეთის მთავრობა სასტიკად გაუსწორდა აჯანყებულებს. შეიპყრეს აჯანყების ყველა სავარაუდო თავკაცი და იდეოლოგი. 1820 წლის 4 მარტს რუსეთის მთავრობის საგანგებო ბრძანებით, ისე რომ ამ ამბავს კიდევ ახალი მღველვარება არ მოჰყოლოდა, შეიპყრეს დოსითეოზ ქუთაელი და ეფთვიმე გაენათელი. ორივე მღვდელმთავარს ტომრები ჩამოაცვეს თავზე, შეუკრეს ხელ-ფეხი და მათრახების ცემით წაიყვანეს, ასევე სასტიკად გაუსწორდნენ სხვა შეპყრობილ აჯანყებულებს, ზოგი მათგანი ჩამოახრჩვეს და ზოგიც რუსეთში გადაასახლეს სამუდამოდ.

ნატანჯი და ნაცემი მღვდელმთავრები დაბა სურამში შეაჩერეს, სადაც ერთ დედაკაცს მათთვის წყალი მიუწოდებია დასალევად. წმიდა ეფთვიმეს კბილები სრულიად ჩამოცვენილი ჰქონია ცემისაგან და სისხლი უღებია პირიდან. სამოცდათერთმეტი წლის სასტიკად ნაცემი წმიდა დოსითეოზი 5 მარტს გზაში გარდაიცვალა, დაკრძალულია ანანურში, ტაძრის შიგნით.

„ქართველ წმიდათა ცხოვრებანი“, თბილისი, 2007 წ.

საეკლესიო კალენდარი

1 აპრილი, დიდი მარხვის მე-6, ბზობის კვირა (იესო ქრისტეს დიდებით შესვლა იერუსალიმში).
2 აპრილი, ვნების შვიდეულის ორშაბათი (პირველშეწირულის ლიტურგია).
შენიშვნა: ვნების შვიდეულის ორშაბათს, სამშაბათს და ოთხშაბათს III, VI და IX ჟამნებზეიკითხება წმიდა ოთხთავი (სახარება).
3 აპრილი, ვნების შვიდეულის სამშაბათი (პირველშეწირულის ლიტურგია).
4 აპრილი, ვნების შვიდეულის ოთხშაბათი (პირველშეწირულის ლიტურგია).
5 აპრილი, ვნების შვიდეულის ხუთშაბათი. საიდუმლო სერობის ხსენება (წმ. ბასილი დიდის წირვა).
6 აპრილი, ვნების შვიდეულის პარასკევი (წირვას არ უჩენს). ხსენება წმიდათა მაცხოვნებლთა ვნებათა უფლისა.
ცისკრად 12 ვნების სახერების კითხვა.
- მაცხოვრის ჯვარცმის ჟამს მცხეთას ვნებულისა, კვართის მიმრქმელის წმ. სიდონიას დედის ხსენება.
7 აპრილი, ვნების შვიდეულის შაბათი. ხარება. (წმ. ბასილი დიდის წირვა). ხსნილი ზეთითა და ღვინით.
8 აპრილი, კვირა. ბრწყინვალე აღდგომა იესო ქრისტესი (წმ. იოანე ოქროპირი სწირვა).
შენიშვნა: ბრწყინვალე შვიდეულში ხსნილია ყოვლითურთ.
9 აპრილი, ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათი. საფლავთა კურთხევა.
10 აპრილი, ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათი.
- ივერიის ღმრთისმშობლის ხატის დღესასწაული;
- 6000 დავით გარეჯელ მოწამეთა ხსენება.
11 აპრილი, ბრწყინვალე შვიდეულის ოთხშაბათი. - დღესაწაული ღმრთისმშობლის ხატისა „მსწრაფლშემსმენელი“.
12 აპრილი, ბრწყინვალე შვიდეულის ხუთშაბათი.
- ღირსი იოანე კლემაქსის (სათნოებათა კიბის აღმწერელის) ხსენება (649).
13 აპრილი, ბრწყინვალე შვიდეულის პარასკევი.
- „წყარო ცხოვრებისად“ წოდებული ღმრთისმშობლის ხატის დღესასწაული.
14 აპრილი, ბრწყინვალე შვიდეულის <u>შაბათი.</u> (წირვის შემდეგ) არტოსის განტეხა.
- თბილისის სიონის ტაძარში თავად გივი ამილახვრის სულის საოხად ჟამი შეინწირვის.
15 აპრილი, აღდგომიდამ მე-2 – <u>თომას კვირა.</u>
16 აპრილი (აღდგომიდან მე-2 შვიდეული). სამშაბათი.
- მიცვალებულთა ხსენება (წირვის შემდეგ სრულდება დიდი პანაშვიდი).
22 აპრილი, აღდგომიდამ მე-3 – <u>მენელსაცხებლე დედათა კვირა.</u>
- აღმართება პატიოსნისა ჯვარისა მცხეთისაი.
- ხსენება კეთილმორწმუნე ქართველთა მეფისა თამარისა.
26 აპრილი (აღდგომიდან მე-3 შვიდეული). ხუთშაბათი.
- სამშობლოსთვის წამებული წმ. დიმიტრის (ყიფიანი) ხსენება (1887).
29 აპრილი, აღდგომიდამ მე-4 – <u>განრღვეულის კვირა.</u>
30 აპრილი (აღდგომიდან მე-4 შვიდეული). ორთშაბათი. - წმ. ეფრემ დიდის (მაწყვერელის ხსენება (IX).

***

1 მაისი (აღდგომიდან მე-4 შვიდეული). სამშაბათი:
- ღირსი ბასილი რატიშვილის ხსენება (XIII).
2 მაისი (აღდგომიდან მე-4 შვიდეული). ოთხშაბათი. ერგასის განზოგება.
4 მაისი (აღდგომიდან მე-4 შვიდეული). ხუთშაბათი:
- მღვდელმოწამე ექვთიმეს, გაენათელი მიტროპოლიტის ხსენება (1822).
6 მაისი, აღდგომიდან მე-5, <u>სამარიტელის კვირა:</u>
- წმიდისა დიდებულისა, დიდისა მოწამისა, ძლევაშემოსილისა და საკვირველთმოქმედისა გიორგის ხსენება (303).
8 მაისი (აღდგომიდან მე-5 შვიდეული). სამშაბათი:
- წმ. მოციქულისა და მახარებლის მარკოზის ხსენება (63).
9 მაისი (აღდგომიდან მე-5 შვიდეული). ოთხშაბათი:
- ერგასის განზოგების წარგზავნა.
10 მაისი (აღდგომიდან მე-5 შვიდეული). ხუთშაბათი:
- მოციქულისა და მღვდელმოწამის სვიმეონის (უფლის ნათესავის) ხსენება (107).
12 მაისი (აღდგომიდან მე-5 შვიდეული). შაბათი:
- წმიდისა და ყოვლად ქებულისა მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ხსენება.
- დუდიყვათსა და პაპათში (თურქეთი) 300 მხედართა, მღვდელთა და ყოველთა მართლმადიდებელთა ლაზთა ქრისტეს სარწმუნოებისათვისმუსლიმთაგან წამებულთა (XVII-XVIII).
13 მაისი, აღდგომიდან მე-6, <u>ბრმის კვირა:</u>
- მოციქულ იაკობ ზებედეს ხსენება (44);
- წმიდა ეგნატე ბრიანჩანინოვის ხსენება (1867).
14 მაისი (აღდგომიდან მე-6 შვიდეული). ორშაბათი:
- კეთილმორწმუნე მეფის თამარის ხსენება (1213).
15 მაისი (აღდგომიდან მე-6 შვიდეული). სამშაბათი:
- წმ. ათანასე დიდის, ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსის ხსენება (373).
16 მაისი (აღდგომიდან მე-6 შვიდეული). ოთხშაბათი.

- აღდგომის დღესასწაულის წარგზავნა.

17 მაისი (აღდგომიდან მე-6 შვიდეული). ხუთშაბათი. ამაღლება.

- ფერეიდანში (ირანი) ქრისტეს სარწმუნოებისათვის მუსლიმთა განწამებულ ქართველთა ხსენება (XVII-XVIII).

18 მაისი (ამაღლების შემდგომი დღესასწაული). პარასკევი.

- მოწამე საგდუხტ ქალწულის ხენება;
- დიდმოწამე ირინეს ხსენება (I-II);
- დღესაწაული ღმრთისმშობლის ხატისა „ბარძიმი შეუსმელი“.

20 მაისი, აღდგომიდან მე-7, I მსოფლიო კრების წმიდა მამათა კვირა.

- მოც. სწორთა – მეფე მირიანის და დედოფალ ნანას ხსენება.
- ხსენება სასწაულისა პატიოსნისა ჯვარისა, რომელი გამოცხადდა ცასა შინა იერუსალიმს (351);
- ღირ. იოანე ზედაზნელის და მისი 12 მოწაფის ხსენება (VIს.);
- წმ. კეთილმსახურისა მეფისა ბაგრატ III, საქართველოს გამაერთიანებელის ხსენება (1014).

21 მაისი (აღდგომიდან მე-7 შვიდეული). ორშაბათი:

– წმ. მოციქულისა და მახარებლის იოანე ღმრთისმეტყველის ხსენება(117).

22 მაისი (აღდგომიდან მე-7 შვიდეული). სამშაბათი:

- აღმოყვანება ნაწილთა წმ. ნიკოლოზსაკვირველთმოქმედისა მირონ-ლუკიიდან ბარში (1087წ.).

23 მაისი (აღდგომიდან მე-7 შვიდეული). ოთხშაბათი:

- მოციქულ სვიმეონ მოშურნის ხსენება.
- ღირსი დოდო გარეჯელის ხსენება (VI).

24 მაისი (აღდგომიდან მე-7 შვიდეული). ხუთშაბათი:

- ღირსი დავით გარეჯელის ხსენება (მამადავითობა თბილისში) (VI).

25 მაისი (აღდგომიდან მე-7 შვიდეული). პარასკევი: - ამაღლების წარგზავნა.

26 მაისი (აღდგომიდან მე-7 შვიდეული). სულის შაბათი: - ღირსი ექვთიმე ათონელის ხსენება (1028).

- მიცვალებულთა ხსენება.

27 მაისი, აღდგომიდან მე-8 კვირა. წმიდა სამების დღე. სულთმოფენობა.

შენიშვნა: ლიტურგიის ჩამოლოცვის შემდეგ სრულდება IX ჟამნი და დიდი მწუხრი მუხლმოდრეკის ლოცვებით.

30 მაისი (ოთხშ.) - მცხეთის ჯვრის დღესასწაული. - ლომისობა.

31 მაისი (ხუთშ.) - შვიდი მსოფლიო კრების წმ. მამათა ხსენება.

ჩვენი ეკლესია

დიდი მარხვის პერიოდში ფსალმუნთა, პარაკლისებისა და დაუჯდომლების კითხვის შესახებ

სიცხადე რომ შევძინოთდასმულ საკითხს, აუცილებელია წყალგამყოფი გავავლოთ საზოგადო მსახურებასა და პირად, ინდივიდუალურ ლოცვებს შორის. ანუ, უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან საზოგადო მსახურება დაინდივიდუალური ლოცვითი კანონი.

მართლმადიდებლური საეკლესიო მსახურება (პირობითად) ორ ნაწილად განიყოფა: კერძო და საზოგადო ღვთისმსახურებად. კერძო მსახურებას მიეკუთვნება: ნათლობა, ჯვრისწერა, პანაშვიდი, პარაკლისი, წყლის კურთხევა და სხვა, ხოლო საზოგადო ღვთისმსახურებას კი -საღმრთო ლიტურგია, ცისკრის ან მწუხრის ჟამნები (რომლებიც სადღეღამისო ციკლის მსახურებებს განეკუთვნებიან), საზოგადო პარაკლისები და სხვა.

გვსურს რა მივანიშნოთ ფსალმუნთა, პარაკლისებისა და დაუჯდომლების ადგილი ეკლესიის მიერ განჩინებულ ლოცვათა არეალში, ლიტურგიკულ საკითხებში ნაკლებად გაცნობიერებული მკითხველისათვის, სადღეღამისო ციკლის მსახურებათა ჩამონათვალსაც შევეხებით. ამავე დროს, წინსმწრებად ვიტყვით, რომ ლოცვითი ხასიათის მიხედვით ღვთისმსახურებაში „ღმერთი უფალისა“ და „ალილუიას“ მსახურებებს განასხვავებენ. „ღმერთი უფალის“ მსახურება გულისხმობს სადღესასწაულო, საზეიმო მსახურებას, ხოლო „ალილუიას“ მსახურება კი - არასაზეიმო, სინანულის, შინაგანი შემუსვრილების გამომხატველ მსახურებას.

სადღეღამისო ციკლის მსახურებები საღამოს, დილის და დღის მსახურებებად განიყოფიან. ამასთან, თითოეული ეს ქვემსახურება გარკვეული ჟამნების განგებას მოიცავს, რომელთაც „მცირე წმიდის“ - I რანგის მსახურების მაგალითზე წარმოვაჩენთ.

„ღმერთი უფალის“ მსახურებისას:

საღამოს მსახურება: IX ჟამნი, მწუხრის ჟამნი, სერობის ჟამნი;

დილის მსახურება: შუაღამის ჟამნი, ცისკრის ჟამნი, I ჟამნი;

დღის მსახურება: III ჟამნი, VI ჟამნი, საღმრთო ლიტურგია (სადილის ჟამნი).

(დიდ მარხვაში) „ალილუიას“ მსახურებისას:

საღამოს მსახურება: სერობის ჟამნი;

დილის მსახურება: შუაღამის ჟამნი - ცისკრის ჟამნი - I ჟამნი;

დღის მსახურება: III ჟამნი - VI ჟამნი - IX ჟამნი - სადილის ჟამნი -

მწუხრის ჟამნი (ხოლო ოთხშაბათსა და პარასკევს პირველშეწირულის ლიტურგია).

ახლა კი ვიტყვით, რომ ფსალმუნები სადღეღამისო ციკლის თითოეული მსახურების განუყოფელი ნაწილია. რაც შეეხება პარაკლისებსა და დაუჯდომლებს, ისინი არ წარმოადგენენ ზემოჩათვლილ მსახურებათა შემადგენელ სტრუქტურულ ერთეულს (იშვიათი გამონაკლისის გარდა).

კვლავ დავძენთ. ეკლესიის მიერ განჩინებულ ლოცვით ერთ თმთლიანობაში ერთურთისაგან უნდა განვასხვავოთ: 1. საზოგადო მსახურებები; 2. კერძო მსახურებები და 3. ინდივიდუალური, პირადი ლოცვითი კანონები.

პირველსა და მეორეს საღვთისმსახურო ტიპიკონები არეგულირებენ, ხოლო პირად ლოცვით კანონს კი მოძღვარი ინდივიდუალურად განუჩინებს თითოეულ მორწმუნეს, რაც სულიერი შვილის სათანადო მზაობაზე, საეკლესიო ცხოვრებაში ჩართულობის ხარისხზე (რიგითი მრევლი, სტიქაროსანი, მედავითნე, მგალობელი, სასულიერო სასწავლებლის სტუდენტი, მონაზონი, სასულიერო პირი...) და საეკლესიო ცხოვრების გამოცდილებაზე ბევრად არის დამოკიდებული.

განვავრცობთ რა ზემორე თქმულს, დავძენთ,

1)ფსალმუნების კითხვა:

ა) საზოგადო და კერძო მსახურებებზე საღმრთისმსახურო ტიპიკონებით რეგულირდება, რომელთა მოთხოვნებიც საყოველთაო და აუცილებელია. ამის დასტურად თუნდაც იმ ცხრილზე მივანიშნებთ, სადაც სრულიად წლის განმავლობაში,სადღეღამისო ციკლის ამა თუ იმ მსახურებაზე, დავითნიდან ფსალმუნთა კითხვის განწესია მოცემული (იხ. დავითნში მითითებული ცხრილი). ამ ცხრილიდან ნათლად ჩანს, თუ როდის იკითხება და რა შემთხვევებში დაიტევება ფსალმუნები.

აქ იმასაც შევნიშნავთ, რომ ბრწყინვალე შვიდეულში ფსალმუნები არც სადღეღამისო ციკლის მსახურებებზე და არც პარაკლისებზე არ იკითხება (ნიკოლსკი 1995: 184). გარდა ამისა, ფსალმუნთა დატევების ან ჩანაცვლების არაერთ საეკლესიო განჩინებას იცნობს საღმრთისმსახურო პრაქტიკა, რომელთა შორის თუნდაც ორს მივუთითებთ:

- ღამისთევის ლოცვის შემდეგ, მწუხრის ლოცვაზე რიგითი კანონი დაიტევება (თუ ეს მწუხრი IV, V ან VI რანგის მსახურებას არ ეკუთვნის) (სამაგიდო 1977: 59);

- როცა შვიდეულის სადაგ დღეს ცისკრის ჟამნზე სამი რიგითი კანონის კითხვა ეგება, ხოლო ამ დღეს IV, V ან VI რანგის („ღამისთევის„) მსახურებები მოიწევა, ცისკრის ჟამნზე III რიგითი კანონის ნაცვლად ,,სადიდებელი“ - მე-19 კანონი (134-ე და 135-ე ფსალმუნები) იგალობება. ამასთან, მომდევნო დღის მწუხრის ჟამნზე, ნაცვლად მე-18 კანონისა, ცისკარზე დატევებული III რიგითი კანონი წაიკითხება (ნიკოლსკი 1995: 186).

ბ) როგორც პირადი ლოცვითი კანონის შემადგენელი, მოძღვრის მიერ ინდივიდუალურად განისაზღვრება, და ერთი სულიერი მოძღვრის შვილებსაც კი შეიძლება განსხვავებული ლოცვა-კურთხევა ჰქონდეთ.

თბილისის წმ. ალექსანდრე ნეველის
სახელობის ტაძრის წინამძღვარი
დეკანოზი ბიძინა გუნია

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

30 ЯНВАРЯ 2018 ГОДА СОСТОЯЛАСЬ ПРЕЗЕНТАЦИЯ СБОРНИКА АБХАЗСКИХ ПЕСЕН И ДИСКА «15 АБХАЗСКИХ ПЕСЕН» ПОСВЯЩЕННАЯ ПАМЯТИ СВЕТЛАНЫ ПРОКОФЬЕВНЫ КЕЦБА. Музыковед Тамар Цулукидзе и театровед Важа Дзигуа дали характеристику деятельности С.Кецба,она была полна человеческими переживаниями, давала надежду окружающим, нуждающимся, в ее коллективе всегда стояла деловая атмосфера. Работая на разных ответственных должностях всегда поддерживала идеи и инициативы сотрудников, устраивала целенаправленные мероприятия. С.П.Кецба выделялась своей персоной в современной очень трудной бурлящей эпохе Грузино-Абхазской истории. Подтверждением этого был вечер, устроенный в актовом зале Министерства Культуры и Просвещения Абхазии. Еще раз мы убедились в масштабности и ценности деятельности этой великолепной женщины. Приглашенные почтили память неотразимой, утонченной жемчужине единой Грузии, прекрасной Светлане Кецба, которая унесла с собой мечту о возвращении в родную Абхазию.

МИНИ-СПЕКТАКЛЬ «ПАР-ХМАЛО МАМА-ПАПИСА» (ЩИТ И МЕЧ ПРЕДКОВ). 9 февраля 2018 года в публичной школе №3 им.Вовы Векуа состоялся мини-спектакль. В спектакле принимали участие выдающийся мастер художественного чтения Элдино Сагарадзе и члены ее литературного кружка,среди них были и победители конкурса «Читаем «Витязь в тигровой шкуре», посвященного 850- летию Шота Руставели и организованного Центром Духовности и Культуры. В композиции философский смысл «Витязя в тигровой шкуре» сливается с поэтическим шедевром Ираклия Абашидзе « По следам Руставели».

ЛЮБОВЬ ВРАЩАЕТ ЗЕМЛЮ. Для школьников публичной школы N 2 им.Джумбера Беташвили Центр организовал встречу с известным грузинским писателем Гурамом Дочанашвили. Дети представили мини-спектакль «За горами», прочитали отрывки из рассказов писателя. Сам классик ответил на вопросы школьников, вспомнил о годах, проведенных в Абхазии, принимая участие в археологических раскопках. Председатель Центра И.Кецба от имени коллектива передала памятный подарок писателю, а школьной библиотеке сборник в 4-х томах с автографом Гурама Дочанашвили.

21 ФЕВРАЛЯ ДЕНЬ РОЖДЕНИЯ ДМИТРИЯ ГУЛИЯ. Ушедшая из жизни Светлана Кецба положила начало традиции - отмечать в Тбилиси день рождения основателя абхазской литературы, выдающегося деятеля, поэта Дмитрия Гулия. На этот раз вечер был посвящен великому воспевателю дружбе абхазов и грузин поэту Ивану Тарба.Он был достойным продолжателем дела Д.Гулия. О его жизни и поэзии вела рассказ профессор Сухумского государственного университета Марина Турава.Уделила внимание на развитие тенденций и направлений творчества поэта. Его стихи были прочтены на абхазском и грузинском языках председателем Центра И. Кецба, учениками публичной школы N 2 им.Джумбера Беташвили В.Жвания и А.Кукава,беженкой из Абхазии, ученицей 10 класса публичной школы N 6 А. Кухалашвили.

СУХУМСКОЕ МУЗЫКАЛЬНОЕ УЧИЛИЩЕ - ОЧЕРЕДНОЙ РАЗ ГОСТЬ ЦЕНТРА ДУХОВНОСТИ И КУЛЬТУРЫ. 27 февраля в офисе Центра на концерт учащихся младших и старших хоровых ансамблей под управлением Давида Окуджава были приглашены знаменитый оперный певец Темур Гугушвили и композитор Важа Дурглишвили. В программе звучали произведения композиторов В. Дурглишвили и В. Азарашвили. Пение детей оценил народный артист Грузии Т. Гугушвили. Председатель Центра И. Кецба поздравила Т. Гугушвили с открытием звезды и вручила памятные подарки ему и композитору В. Дурглишвили.

ПОСВЯЩАЕТСЯ ЖЕНЩИНАМ! Всвязи с Днем матери и Международным женским днем, 5 марта состоялась встреча, посвященная женщинам-юбилярам. Тамар Цулукидзе рассказала о деятельности Нугеши Месхи, Нуну Дугашвили, Ламары Цхакая и Лелы Макарашвили. Музыкальные номера представили Лела Макарашвили, исполнившая импровизацию на темы популярных песен грузинских женщин-композиторов,Тамар Кикалишвили - «Экспромт-Фантазию» Шопена, Александр Тибелашвили и Темур Элиава - арию Малхаза из оперы З. Палиашвили «Даиси».

დიმიტრი ბულიბას დაბადების დღე

მიძღვნა ქალბატონებს

სოგუმის საბუსიკო სასწავლებლის მოზიბი სტუმრობა

ანანუში

ISSN 2298-0865

9 772298 086004 >

სარედაქციო კოლეგია: ირინა ქეცბა , დეკანოზი ბიძინა (გუნია).
ლია სეხნიაშვილი
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცინო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“
მისამართი: თბილისი, თოფურიას ქ. №12, ტელ. : 231-51-30, 599-05-96-11. ტირაჟი: 300 ცალი